14/05/2026

MES 4 26 0000574032

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი:** 29.04.2026
**სხდომის დაწყების დრო:** 11:07
**სხდომის დასრულების დრო:** 13:44
**სხდომის თავმჯდომარე:** ქეთევან აფთარაშვილი (I საკითხი)
**სხდომის თავმჯდომარე:** ლევან შავაძე (II-XI საკითხები)
**საბჭოს მდივანი:** ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად,კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**ნანა კავლელაშვილი**-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის(შემდგომში - საბჭო)სხდომაზედამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი**-ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური**- შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **ირინა ლობჟანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
8. **მაქსიმ იავიჩი**-შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
9. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. **ნარგული ასანიძე**- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ციური დურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
13. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**
1. კახაბერ კორძაია - რექტორი,

2. მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. ფიქრია კაპანაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
4. ეკატერინე ჭალაგანიძე - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
5. თამარ ინასარიძე - აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
6. ნანა პარინოს - ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
7. მადონა თელია - ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

1. დავით პატარაია - პროგრამის ხელმძღვანელი;
2. გიორგი მახარობლიშვილი - სამართლის ფაკულტეტის ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ნინო ქიმერიძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:**

1. ქეთევან ჯინჭარაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. თამაზ უზუნაშვილი - „ბიზნესის ადმინისტრირების" სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი.

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:**

1. ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. რუსუდან ქუთათელაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
3. ნინო ჩიკვილაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. მერაბ მიქელაშვილი, ნინო ქავთარაძე - „ბიზნესის ადმინისტრირების" მაგისტრატურის საგანმანათლებლო
პროგრამის ხელმძღვანელები.

**ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი:**

1. დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ირინა გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი;
3. ვანო ცერცვაძე - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. გიორგი თურქია-ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
5. ნიკა აბუაშვილი-ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
6. ლუკა ბერაია-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
7. მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

1. ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
3. ჯემალ კარალიძე - „ისტორიის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. თამარ მაჭუტაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია**

1. ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის მეთაურის მოადგილე;
2. თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
4. ნათია მაისურაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
5. თეიმურაზ ნიკოლაიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი;
6. ირაკლი უჩაძე - მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
7. ნინო ისაკაძე - მაგისტრატურის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

1. ნიჰადა დელიბეგოვიჩი (I საკითხი);
2. მარიამ კილანავა (I საკითხი);
3. ნინო ჯოჯუა (I საკითხი);
4. მარიამ ბანძელაძე (II საკითხი);
5. თამთა ცხოვრებაძე (II საკითხი);
6. ნათია დაღელიშვილი (III, IV, V, VI საკითხები);
7. ვასილ კიკუტაძე (VII, VIII, IX საკითხები);
8. მერაბ ჭუმბურიძე (X საკითხი);
9. ნინო ფარსადანიშვილი (XI საკითხი).

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგენის განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის შეფასების პროცესი);
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო სსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილიანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**
**• არა**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის შეფასების პროცესი);
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო სსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილიანგარიშის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**„ინგლისური ენა და ლიტერატურა;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება დაკოდი:** 0231 ენის დაუფლება;
**სწავლებისენა:**ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240 კრედიტი
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√კი**
**ლევან შავაძე; ქეთევან ნანობაშვილი.**
აცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან თანამშრომლობის პირობები.

**აკრედიტაციის დებულების 27$^2$-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთევან აფთარაშვილმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ნიჰადა დელიბეგოვიჩმა აღნიშნა, რომ გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. ხაზი გაესვა იმას, რომ პროგრამა სტაბილურად უზრუნველყოფს B2 დონის მიღწევას B2$^+$ - ის ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიღეს ინფორმაცია საკონტაქტო საათების გაზრდისა და დამატებითი კურსების შეთავაზების შესახებ, ექსპერტები მაინც ინარჩუნებენ იმ პოზიციას, რომ საკითხი საყურადღებოა, ამასთან პროგრამაზე სტუდენტების მიღებისას ინგლისური ენის დონის დაბალი ზღვარია. ხაზი გაესვა CEFR-ის ევროპული ჩარჩოს მოთხოვნებს, რომლებიც არის შესრულებაზე დაფუძვნებული საზომი. მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ოპტიმალური და ჰომოგენური გარემო ინგლისური ენის შესწავლასთან დაკავშირებით. ასევე, საყურადღებოა დაბალი ზღვარი, რომელიც შეადგენს 40%-ს. აღინიშნა ისიც, რომ ინგლისური ენის კურსების გაზრდა არ უზრუნველყოფს B2$^+$ დონის მიღწევას და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა გაიზიაროს CEFR-ის აღმწერები და ამას დააფუძნოს ინგლისური ენის დონეები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა კონკრეტულ სწავლის შედეგებს, რომლებიც ეხებოდა თარგმანის კომპეტენციას, რომელიც გაბნეული და ინტეგრირებული იყო სხვადასხვა კურსებში, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი მოცემული უნდა იყოს ერთ კურსში. რაც შეეხება ლიტერატურას, დაწესებულების განმარტებით, გარკვეულ სასწავლო კურსებს უკვე დაემატა განახლებული ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთი კურსი კვლავ ეყრდნობოდა მოძველებულ ლიტერატურას და შესაბამისად რეკომენდაცია ლიტერატურის განახლების შესახებ კვლავ ძალაშია. ასევე ძალაში რჩება რეკომენდაცია საერთაშორისო სტუდენტების მიღების შესახებ. ხაზი გაესვა პროგრამის დოკუმენტში არსებულ გარკვეულ შეუსაბამობებს სამართლებრივი მოთხოვნების მიუხედავად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებულ პოზიციაში არ არის საკმარისი არგუმენტები რეკომენდაციების შესახებ, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები უცვლელად დატოვა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩაწერილ წინაპირობასთან დაკავშირებით ბევრი იმსჯელა ექსპერტთა გუნდმა და არგუმენტიც გაკეთდა დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულის არგაზიარებასთან დაკავშირებით. ამ პროგრამის სწავლების ენა ნამდვილად არის ქართული და ამავე დროს გარკვეული სასწავლო კურსები ისწავლება ინგლისურ ენაზე. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბარებენ, ისინი აბარებენ სავალდებულოდ ინგლისურ ენას, რომლის დონეც შეესაბამება B1 დონეს. თუმცა პროგრამაში არის ჩანაწერი „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა/გადმოყვანის წესით, ჩარიცხვა უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებიდან

ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ერთიანი ეროვნული სამინისტროს გადაწყვეტილების თანხმობის საფუძველზე." აღნიშნული დებულება არ განსაზღვრავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი სტუდენტი მოიაზრება ამ პროგრამაზე. ეს დებულება დაწესებულებას ავალდებულებს, რომ შეამოწმოს სტუდენტობის მსურველის სწავლების ენის ცოდნის დონე მინიმუმ B1 დონეზე, რაც გულისხმობს, რომ ქართული ენის ცოდნის დონე უნდა შემოწმდეს, მაგრამ პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, ის სტუდენტი, რომლის მშობლიური ენა შეიძლება იყოს ქართული და რომელიც შემოწმდება და ჩააბარებს ქართული ენის გამოცდას, უნდა იცოდეს ინგლისური ენაც. ეს აუცილებლად არ გულისხმობს, რომ ის ქართულენოვანი სტუდენტი, რომელიც საერთაშორისო სტუდენტის ჩარიცხვის წესით აბარებს ამ პროგრამაზე, უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მას ინგლისური ენის B1 დონე უნდა ჰქონდეს აუცილებლად.

**უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი პოზიცია (წერილის ასლი)**
"როგორც თქვენთვის ცნობილია, კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაცია 2024 წლის 13 ივნისს მიენიჭა.
ამ პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, 2024 წელსაც ქალბატონი ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი იყო (ტუზლას უნივერსიტეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა). ჯგუფის მიერ (და პირადად თავმჯდომარის მხრიდან) გაიცა 24 რეკომენდაცია, რომლებზეც მუშაობა უნივერსიტეტმა 2024 წლის ზაფხულიდანვე დაიწყო. ახალ პროგრამაში 21 რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული, მათ შორის პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.
ნაწილობრივ გავითვალისწინეთ 3 რეკომენდაცია.
2026 წლის ვიზიტის დროს, თავმჯდომარის მითითებით, რადგან პროგრამის მიზანია, რომ დასრულების შემდეგ სტუდენტმა ინგლისური ენა B2+ დონეზე იცოდეს, სასურველია ეს ავტომატურად დავაფიქსიროთ პროგრამის სწავლის შედეგებშიც, რაც მაშინვე იქნა გათვალისწინებული და წარდგენილი ექსპერტების წინაშე, თუმცა, რეკომენდაცია რეკომენდაციად მაინც დარჩა.
მაშინ, როცა, ექპსერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ რეკომენდაცია იქნა გაცემული, რომ B2+ დონის მისაღწევად საჭირო იყო ინგლისურად წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა გაგვეზარდა, ამაზეც დავეთანხმეთ და 11 სასწავლო კურსის ნაცვლად, რომლებიც ინგლისურად ისწავლებოდა, 16 სასწავლო კურსი გავითვალისწინეთ ამჯერად წარმოდგენილ პროგრამაში. თუმცა, ექსპერტი რეკომენდაციას ისევ გვაძლევს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს B2 დონის სტაბილურ მიღწევას და არა B2+- ის.
Cambridge Univerity Press and Assessment-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულია ცხრილი, თუ რა დროა საჭირო იმისათვის, რომ სტუდენტმა მიაღწიოს ამა თუ იმ დონეს. C1 დონისთვის გაწერილია 700-800 საკონტაქტო საათი, ხოლო პროგრამა სტუდენტებს ამზადებს B2+ დონეზე, რომელიც შეადგენს C1 დონის საწყის ეტაპს.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში „ინგლისური ენა და ლიტერატურა", სწავლის სფეროს იმ სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო დრო, რომლებიც მონაწილეობენ ინგლისური ენის B2+ -ზე დაუფლების პროცესში, ჯამში 1104 საკონტაქტო საათია, ხოლო სწავლის სფეროს იმ სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო დრო, რომლებიც უშუალოდ ენის შემსწავლელი კურსებია, ჯამში 730 საკონტაქტო საათია.
ეს ნათლად ჩანს არა მხოლოდ სილაბუსებში, არამედ პროგრამის N2 დანართიდან „ინგლისური ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა", სადაც დეტალურად არის გაწერილი კონკრეტულ სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში და ჯამური საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, სემესტრში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის მომზადების პროცესში, კონსულტანტის სტატუსით ჩართული იყო დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი, ჯონ ნიკერსონ უენდელი, რომელიც წლებია დოკიოს უნივერსიტეტში (იაპონია) მოღვაწეობს. ჯონ უენდელთან ერთად დეტალურად გვაქვს შესწავლილი აღნიშნული საკითხი. მის დასკვნაში იგი მკაფიოდ უსვამს ხაზს მიზნებისა და შედეგების ურთიერთკავშირს და პროგრამის გამართულობას (იხილეთ ჯონ ნიკერსონ უენდელის დასკვნა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანმდევ დანართში N14 „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი", გარე ექსპერტთა შ ე ფ ა ს ე ბ ე ბ ი ) .
და კიდევ, გარე კოლეგიალური შეფასებისთვის პროგრამაში ჩართული იყო 2 ქართველი და 1 უცხოელი ექსპერტი, დოქტორი, პროფესორი, ხესუს ლოპესი, რომელიც წარმოდგენილ დასკვნაში ამბობს შემდეგს: "B2+ დონე არაა ამბიციური შედეგი, პირიქით შეგვიძლია C1 დონეზეც დავიწყოთ ფიქრი" (იხილეთ ხესუს ლოპესის დასკვნა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანმდევ დანართში N14 „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი",გარე ექსპერტთა შეფასებები).
აღსანიშნავია, რომ ხესუს ლოპესს 30-წლიანი სწავლების გამოცდილება აქვს ინგლისური ფილოლოგიის დარგში, რომელიც მოღვაწეობს, როგორც ესპანეთის ხაენის უნივერსიტეტში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ-იორკში). გარდა ამისა, იგი საერთაშორისო ექსპერტი.
და კიდევ, 2024 წელს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გაცემული რეკომენდაციის საპასუხოდ, 35-დან 40%-მდე გავზარდეთ ეროვნულ გამოცდებზე, ინგლისურ ენაში მიღებული ქულის ზღვარი, რაც ამჯერად ისევ არ არის საკმარისი მისთვის.
ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს ყველა უნივერსიტეტის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის / ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კომპეტენციის ზღვარი და ინგლისური ენის ფლობის მოსალოდნელი შედეგი. გთავაზობთ მონაცემებს, დანართის სახით.
რაც შეეხება უნივერსიტეტის პოზიციას დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დეტალურად გვაქვს ჩამოყალიბებული ექსპერტთა დასკვნის პროექტზე, უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრე ბები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც უხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტი აბარებს, ის აუცილებლად ამოწმებს რომელ ენაზეა სწავლება განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ნიგერიელი და ინდოელი იმ პროგრამაზე, რომელზეც წერია, რომ სწავლება პირველივე სემესტრიდან არის ქართული, არ ჩააბარებს. დაწესებულებას ჰყავს ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ქართული ენის გამოცდაც, რადგან სწავლობდნენ უცხოეთში და პროგრამის შეცვლა სურდათ. მსგავსი ტესტები არის როგორც ქართული ენის დონის განსაზღვრისთვის, ასევე ინგლისური ენის. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელები აბარებენ ინგლისურენოვან პროგრამებზე, მაინც უტარდებათ ტესტირება. ამასთან, დაწესებულებაში არის სპეციალური კურსები, რომლითაც სტუდენტს შეუძლია გაიძლიეროს ენის ფლობის დონე."

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომ პროგრამაში რამდენჯერმე ნახსენები იყო ინგლისური ენის დონის B2 $^{+}$. მას აინტერესებდა ეს ხომ არ ეხებოდა C1 დონეს და ასევე აინტერესებდა ამასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს კურსები C1 დონის მიღწევას არ უზრუნველყოფენ, თუმცა ის აფასებს დაწესებულების

ძალისხმევას დამატებითი კურსების ჩასმით, განსაკუთრებით პირველკურსელებისთვის. თუმცა, ის ამ პრობლემას უკავშირებს 40 %-იან მიღების ზღვარს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამამ პირობითი აკრედიტაცია მიიღო 2024 წელს. თუმცა 24 რეკომენდაციიდან 21 სრულად გაითვალისწინა დაწესებულებამ და 3 - ნაწილობრივ. პროგრამის შექმნისას გამოკვლეულ იქნა ის საკითხი, რომ აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებზე B1 დონის დამადასტურებელ ტესტებს წერენ. აღებული ქულების მიხედვით ხდება კლასების დიფერენცირება. სტუდენტები ორი სემესტრის განმავლობაში გადიან ინგლისური ენის კურსებს და პირველი კურსის შემდეგ გადიან B2 დონეზე, ამას ემატება კიდევ პროფესიული ინგლისური, რომელიც ყველა საბაკალავრო პროგრამაშია ჩართული. ამასთან ყველა უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ზღვარი არაუმეტესია 40%-ისა. ვისაც 40 % აქვს ზღვარი ყველა B2 დონეზე გადის. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 700-დან 800 საკონტაქტო საათამდე უნდა ჰქონდეს გავლილი სტუდენტს იმისათვის, რომ ის C1 დონეზე ფლობდეს ინგლისურ ენას. დაწესებულებაში კი საკონტაქტო 1104 საათია სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ჯამში. ხოლო უშუალოდ ენის შემსწავლელი საკონტაქტო საათები ჯამში არის 730 საათი. იმისათვის, რომ ექსპერტების მოსაზრება გაეზიარებინა დაწესებულებას ამ მიმართულებით 11 სავალდებულო სასწავლო კურსიდან 16-მდე გაიზარდა და ტარდება ინგლისურად. რაც შეეხება მიზნისა და შედეგის აცდენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულებამ ვიზიტის დროსვე შეიტანა ეს ჩასწორება და წარედგინა ექსპერტსაც, თუმცა მაინც დარჩა რეკომენდაცია ძალაში. რაც შეეხება მოძველებულ ლიტერატურას, იმ კურსებში სადაც ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოძველებულია ლიტერატურა 2020-ის, 2022-ისა და 2023 წლის ლიტერატურაა წარმოდგენილი, არცერთ სავალდებულო კურსში 2019 წლის ქვევით არაა მითითებული ლიტერატურა, რადგან ეს არ არის ქრესტომათიული ტიპის, რომლის შესწავლაც რომელიმე სასწავლო კურსში არის აუცილებელი, მას ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს სტუდენტი, თუმცა 2019 წლიდან ზევით ლიტერატურაა მითითებული ყველა სასწავლო კურსში. გარდა ამისა ყოველი სემესტრის დასაწყისში ხდება ლიტერატურის განახლება. ბოლო რეკომენდაცია ეხება საერთაშორისო სტუდენტებს, უმაღლესი განათლების კანონის 48-ე მუხლის თანახმად პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ყველას, ვისაც აქვს საქართველოში გაცემული ატესტატი. ამავე კანონის 52-ე მუხლში წერია თუ ვის აქვს მობილობით გადმოსვლის უფლება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებიდან. რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტს, მაღი რაოდენობა უნივერსიტეტში არის 4600, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო სტუდენტის სტატუსი. თუმცა ეს პროგრამა არის ქართულენოვანი და ფიზიკურად ვერ ისწავლის უცხოელი სტუდენტი. თუ სტუდენტს დამთავრებული არ აქვს ქართულენოვანი სკოლა, ქართულენოვან პროგრამაზე ვერ ისწავლის.
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, როდესაც ეროვნული გამოცდების შედეგად ირიცხება პირი, რა წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ პროგრამაზე ისწავლოს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის წინაპირობა აქვს, რომელიც წერია 52 - ე მუხლში. პირველ რიგში სტუდენტს უნდა დაუდასტურდეს ენის ფლობის დონე. საბჭოს წევრს აინტერესებდა, რომ თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ირიცხება პირი, მას სავალდებულოდ უწევს, რომ ჩააბაროს ინგლისური ენა და დაადასტუროს ფლობა, თუმცა თუ ეროვნულების გარეშე ირიცხება პირი, მას უწევს, რომ მხოლოდ ქართული ენის დონე დაადასტუროს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ სტუდენტი სწავლობს უცხოეთში მას ისედაც უდასტურება ინგლისური ენის ფლობა, შესაბამისად აღარ აბარებს გამოცდას და პირდაპირ ირიცხება. თუმცა თუ აქვს ქართული ენის პრობლემა, ასეთ შემთხვევაში ტარდება ტესტი და ამის შემდეგ გადიან დონის ასამაღლებელ კურსებს სრულიად უფასოდ. მაგრამ თუ ქართული საერთოდ არ იცის, დაწესებულება უარს ეუბნება, რადგან ვერ ისწავლიან ქართულენოვან პროგრამაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია იმიტომ გაიცა, რომ თუ რომელიმე უცხოელ სტუდენტს მოუნდა ამ პროგრამაზე ჩარიცხვა, მას გაცხადებულად არ აქვს ინფორმაცია წინაპირობებთან დაკავშირებით. ასევე, თარგმანთან მიმართებით, ერთი კურსი გადანაწილებული იყო 3 შედეგთან. შედეგები იყო ძალიან მაღალი 6 კრედიტიანი კურსისთვის. დანარჩენ შემთხვევაში დაწესებულების არგუმენტები სრულიად გასაგები და მისაღებია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თარგმნის სტრატეგიები არის დამამთავრებელ სემესტრში, მაგრამ როგორც არგუმენტირებულ პოზიციაში არის აღნიშნული, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში ისეთი საკითხებია, რომლებიც სტუდენტს თარგმნის უნარს გამოუმუშავებს. გარდა ამისა კიდევ რამდენიმე საგანში დაემატა თარგმნის ელემენტები, რადგან არ ყოფილიყო თავიდან გასავლელი რეკომენდაცია. მანამდე 3 საგანში იყო, თუმცა რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველზე დაემატა კიდევ 4-ში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ არ გაიზიარა თარგმანთან დაკავშირებული რეკომენდაცია და წარადგინა რიგი არგუმენტები.
ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა განაცხადა, რომ ვერ გაითვალისწინებდნენ დაწესებულების მოსაზრებას და დაწესებულება იძულებული იყო მიეღო აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს თარგმანის რაოდენობის გაზრდაზე არ ჰქონდა საუბარი, რადგან თარგმანის უნარების ჩაშენება სხვადასხვა კურსებში, უნარების გაზომვადობა და მისი შეფასება უნდა ხდებოდეს შესაბამისი რუბრიკებით, რადგანაც პროგრამა ფარავს თარჯიმნობას, რაც ნიშნავს იმას, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს მსგავსი კვალიფიკაცია. უბრალოდ შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და კონკრეტულად ეს მიემართება ქართული ენის კომპეტენციის საკითხზე, სადაც დაშვების წინაპირობაში ნახსენები უნდა იყოს, რადგან აბიტურიენტმა უნდა იცოდეს, რომ თარგმნის გარკვეული ნაწილიც მოეთხოვება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება ამას, რადგან სასწავლო კურსები ისე დაემატა, რომ შედეგებს არ შეხებია და ეს უნივერსიტეტს ნამდვილად არ ეშლება. ის, რაც წერია შედეგებში სრულიად პასუხობს თარგმნის სტრატეგიების სილაბუსი ამ შედეგებს. დაწესებულებამ გააძლიერა 2-2 საკითხი თითო სილაბუსში, რომელმა საკითხებმაც არ უნდა შეცვალოს პროგრამის შედეგი. 2024 წელს, როდესაც პირველად შემოწმდა ეს პროგრამა 35 კრედიტი იყო ინგლისურში კომპეტენციის ზღვარი. 40 %-ზე მეტი ქართული რეალობისგან გამომდინარე ვერ დაწესდებოდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 12:05
**დასრულების დრო:** 12:21

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე -** 11
**წინააღმდეგი -** 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ინგლისური ენა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება საბჭოს სხდომის დღიდან (29.04.2026) შესულიყო ძალაში. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭომ დააკმაყოფილა.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. საავრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**საბჭოს სხდომას შემოუერთდა მზია წიკლაური.**

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის შეფასების პროცესი).

**საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:** მიგრაციის მართვა;
**საფეხური:**მაგისტრატურა;
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია**: მიგრაციის კვლევების მაგისტრი;
**დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:** 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები -არაკლასიფიცირებული
**სწავლებისენა:** ქართული;
**კრედიტებისრაოდენობა:** 120 კრედიტი;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**საბჭოს სხდომა დატოვეს მაქსიმ იავიჩმა და მზია წიკლაურმა.**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**ქეთევან აფთარაშვილი, ბონდო გასვიანი.**
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.** ექსპერტმა აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარგენილი დოკუმენტაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლებიც სრულიად გათვალისწინებული და შესრულებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულებამ აღნიშნა, რომ პროგრამის ახალი მოთხოვნების შესაბამისად გადაწყობისთვის ემზადება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 12:27
**დასრულების დრო**: 12:32

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 10**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის „განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

**საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ მაქსიმ იავიჩი და მზია წიკლაური.**

**მესამე საკითხი:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:**ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:**მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413;
**სწავლებისენა:** ქართული;
**კრედიტებისრაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**მეოთხე საკითხი**: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**:ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413;
**სწავლების ენა**: ინგლისური;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**მეხუთე საკითხი:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:**მენეჯმენტი და ადმინისტრირება-0413;
**სწავლებისენა:**ინგლისური;
**კრედიტებისრაოდენობა:** 180
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**მეესქვსე საკითხი:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელიკვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:**მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413;
**სწავლებისენა:**ინგლისური;
**კრედიტებისრაოდენობა:** 180;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

**მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია 4 საგანმანათლებლო პროგრამა, მათგან 2 არის ქართულენოვანი 180 და 240 კრედიტიანი, ხოლო 2 ინგლისურენოვანი. 180 და 240 კრედიტიან პროგრამებთან იდენტური დასკვნები აქვთ ექსპერტებს, განსხვავება არის ინგლისურენოვან ორივე პროგრამებში, სადაც სავალდებულო ლიტერატურის მითითების საჭიროებაა აუცილებელი. პირველი სტანდარტის მიხედვით ოთხივე პროგრამაზე იყო მეტწილი შესაბამისობა და მეორე სტანდარტში ინგისურენოვან 2 პროგრამასთან იყო მეტწილი შესაბამისობა, დანარჩენ 3 სტანდარტში, სრული შესაბამისობა. პირველი და მეორე რეკომენდაცია სწავლის რუქას ეხებოდა და შესრულებული აქვს დაწესებულებას. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა წინაპირობებს და ეს ნაწილობრივ შესრულებულია. პირველ შემთხვევაში სრულად გაითვალისწინა „ფინანსური ანალიზის და სესხის სტრუქტურირების

წინაპირობის" განსაზღვრა რეკომენდაციის მიხედვით და განისაზღვრა „კორპორაციული ფინანსების საფუძვლებიც, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ხოლო მეორე შემთხვევაში მოცემული იყო „კორპორაციული საფუძვლების" წინაპირობა და ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინა ინტიტუციამ და დატოვა „სტატისტიკა" ამ კურსის წინაპირობად. შემდეგი საკითხები ეხებოდა ხარისხის სამსახურთან რეგულარულ შეხვედრებს. უნივერსიტეტის მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაციით, სხდომების ოქმებითა და ჩანაწერებით დასტურდება, რომ ამ ტიპის შეხვედრები გახდა უფრო რეგულარული.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ბ ი .
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ და წინაპირობებად აღნიშნული საგანები ჩასვა, თუმცა შეიქმნა გარკვეული პრობლემები, რადგან ხისტად გადაება სილაბუსები ერთმანეთს. დაწესებულება ძალიან საფუძვლიანად ასწავლის კორპორაციულ ფინანსებს, ის ორ სემესტრზეა გადანაწილებული. საბოლოოდ კი ვერ ასწრებს სტუდენტი სხვა ღირებული საგნების გავლას. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზეც შეიქმნა პრობლემები, რადგან სტუდენტები თავისუფლად ვეღარ ირჩევდნენ ამ კურსებს, ვეღარ მიდიოდნენ საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებზე, შესაბამისად შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა გაცვლით პროგრამებზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულება რომ არ დაზარალებულიყო სილაბუსში შეიტანა ფინანსური ბუღალტერია, რომელსაც 5 კვირა ეთმობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
**საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.**

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 12:44
**დასრულების დრო:** 12:54
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^{6}$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე,შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა**: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 276- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე,შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დაწესებულებას საბჭომ შესრულებულად ჩაუთვალა შემდეგი რეკომენდაცია ოთხივე პროგრამასთან მიმართებით: ,,რეკომენდებულია, დაზუსტდეს გარკვეული კურსების წინაპირობები. მაგალითად, ცოდნის და უნარების ლოგიკური პროგრესიის უზრუნველსაყოფად, კურსს "ფინანსური ანალიზი და სესხის სტრუქტურირება" წინაპირობად უნდა განესაზღვროს "კორპორაციული ფინანსების საფუძვლები", "კორპორაციული ფინანსების საფუძვლების" წინაპირობად განისაზღვროს „ბუღალტრული აღრიცხვა“." შესაბამისად, სტანდარტის 1.4 კომპონენტი ყველგან განისაზღვრა, როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან.

**საბჭოს სხდომა დატოვა ბონდო გასვიანმა.**

**7. მეშვიდე საკითხი:** სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური**: მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**:0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა**: ქართული
**კრედიტების რაოდენობა**: 120;
**სტატუსი**: აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ**
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექვსი რეკომენდაცია იყო გაცემული საგანმანათლებლო პროგრამაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ რეკომენდაციები შესრულებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზ რებები.**
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 13:17
**დასრულების დრო:** 13:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27⁶- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს სხდომას შემოუერთდა ბონდო გასვიანი.**

**8. მერვე საკითხი:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა**: 180;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**9. მეცხრე საკითხი:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ბიზნესის ადმინისტრირება;
**საფეხური:** მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი**: მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
**სწავლების ენა**: ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 120;
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო

დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მერვე და მეცხრე საკითხების ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო ორი პროგრამა. გაცემული იყო სულ ორი რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია შესრულებულია დაწესებულების მხრიდან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 13:10
**დასრულების დრო:** 13:14

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 14
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის

ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**10. მეათე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ისტორია
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0222 - ისტორია და არქეოლოგია;
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტებისრაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**√ კი**
**თეა მჭედლური, ნარგული ასანიძე.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო ექვსი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებს. პირველი სტანდარტის 4 პუნქტი არის სრულ შესაბამისობაში სასწავლო კურსი და საგანი, რაც შეეხება 1.5 ქვეპუნქტს არის მეტწილ შესაბამისობაში. 4.3 კომპონენტი არის შესაბამისობაში, მატერიალური რესურსი 4.3-ში არის მეტწილად შესაბამისობაში და 4.5 კომპონენტი არის შესაბამისობაში. ასევე შესაბამისობაშია 5.1 და 5.3 კომპონენტები. სასაწავლო კურსებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა დაახლოებით 17 საგანს და აქედან გამოირკვა, რომ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, რადგან 17 სილაბუსიდან ცვლილებები განხორციელდა 4 სილაბუსში. ზოგიერთი მათგანიდან ამოღებულ იქნა მოძველებული ლიტერატურა, სავალდებულოდან დამხმარე ლიტერატურაში გადავიდა 34 სახელმძღვანელო. სავალდებულო ლიტერატურას დაემატა 13 ახალი წიგნი და დამხმარედან სავალდებულოში გადატანილ იქნა 2 წიგნი.

მონიტორინგის ფარგლებს გარეთ განხორციელდა დაწესებულების მიერ ცვლილებები ზოგიერთ სილაბუსში, ამიტომ ექსპერტებმა ის ვერ გაითვალისწინეს. იგივე ეხებოდა მატერიალურ რესურსებსაც.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექვსი რეკომენდაციიდან ოთხი სრულად აქვს შესრულებული დაწესებულებას, ხოლო ორი რეკომენდაცია შესრულდა მეტწილად. უნივერსიტეტმა ამ ორი რეკომენდაციის გათვალისწინებით განახორციელა გარკვეული ნაბიჯები, რაც დასკვნაშიც არის აღნიშნული. კერძოდ, რვა სილაბუსში დაემატა 23 ქართულენოვანი და 11 უცხოენოვანი სახელმძღვანელო. დაწესებულებამ შეიძინა 6512 ლარის ღირებულების ახალი ლიტერატურა, კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ასევე განახლდა ცალკეული სილაბუსის შინაარსიც. ფაკულტეტის და აკადემიურმა საბჭომ ეს ცვლილებები დაამტკიცა 2026 წლის მარტში, თუმცა ეს თარიღი სცილდება მონიტორინგის საზღვრებს გარეთ. ეს ყველაფერი დინამიკური პროცესია, რომელიც მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს და დაწესებულება ამ ძალისხმევას არ წყვეტს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულია, რომ მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა 1.1, 1.2, 1.3 და 4.5 ქვესტანდარტები, თუმცა შეფასებულია 1.5 და 4.4 ქვესტანდარტებიც. მას აინტერესებდა, თუ რატომ იყო დანარჩენი სტანდარტების შეფასების საჭიროება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავიდან გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, თუმცა შემდეგ საბჭოს სხდომაზე საბჭომ გადაწყვიტა, რომ დამატებით შეფასებულიყო ეს სტანდარტებიც. ექსპერტებმა ხარისხის განვითარების სამსახურიდან მიიღეს წერილი, სადაც რეკომენდირებული იყო ამ ორი ქვესტანდარტის განხილვაც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 13:39
**დასრულების დრო:** 13:43

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** -12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს მიერ დაკორექტირდა სტანდარტის 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია და განისაზღვრა შემდეგი სახით:
"1) სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მოძველებული და/ან უცხოენოვანი ლიტერატურა ამოღებულ უნდა იქნეს შემდეგი სილაბუსებიდან: 1. ზოგადი ეთნოლოგია; 2.. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (V-XXI სს.); 3. შუა საუკუნეების ისტორია (1); 4. შუა საუკუნეების ისტორია (2); 5. ბიზანტიის ისტორია (ინგლისურად სათაური უნდა იყოს History of Byzantine Empire ან History of Byzantium); 6. რუსეთის ისტორია; 7. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (1) (სწორი სათაური ინგლისურად უნდა დაიწყოს Modern and Contemporary History); 8. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (2); 9. მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია; 10. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და თანამედროვე ისტორია; 11. შავი ზღვისპირეთის უძველესი ცენტრები; 12. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; 13. თურქეთის ისტორია (XX-XXI სს.); 14. ქართული, ქართული დიასპორები საზღვარგარეთ; 15. საერთაშორისო ურთიერთობები და კონფლიქტები; 16. საზღვაო სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში; 17. საქართველოს პირველი რესპუბლიკა."
საბჭომ დაწესებულებას შესრულებულად ჩაუთვალა შემდეგი რეკომენდაციები :
1. ,,ერთი ECTS კრედიტი უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით, როგორც 25 საათი და სავალდებულო საგნების კრედიტის საათების რაოდენობა შესწორებული უნდა იყოს როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე შესაბამის სილაბუსებში". შესაბამისად, სტანდარტის 1.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან და პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

2. ,,რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.", შესაბამისად, სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან და მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ. შესაბამისად, სტანდარტის 5.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან და მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

4. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად, სტანდარტის 5.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან და მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

**მეთერთმეტე საკითხი:** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება**: სახელმწიფო რესურსების მართვა
**საფეხური**: მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის მაგისტრი;
**დეტალურისფეროს დასახელება და კოდი:** 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 122
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**√ კ ი**
**მზია წიკლაური, ქეთევან ნანობაშვილი.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.** ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ იყო სამი რეკომენდაცია გაცემული და სამივე შესრულდა დაწესებულების მიერ.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 13:26
**დასრულების დრო:** 13:29

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე,სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 13:30 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე